ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის
ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრის

ალექსანდრე ხუჯაძის

2018 - 2019 წლებში გაწეული სამუშაობის შესახებ

ანგარიში

2019 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

2017 წლიდან ალექსანდრე ხუჯაძე გახლავთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (ნაძალადევის რაიონი - 20-ე ოლქი), ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ასევე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი, ამასთანავე 2017 წლიდან 2019 წლის 15 აგვისტომდე ბატონი ალექსანდრე იყო ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ხოლო 2019 წლის 16 აგვისტოდან არის სრულ უფლებიანი იურიდულ საკითხთა და ადამიანური უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, აგრეთვე ბატონი ალექსანდრე 2019 წლის 13 მაისიდან არის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის დეპუტატის, ალექსანდრე ხუჯაძის, მიერ 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 და ბიუროს 20 სხდომა; მიღებულ იქნა 434 განკარგულება და 92 დადგენილება. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომის სამუშაო პროცესში.

განვლილი პერიოდის განმავლობაში ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ჩაატარა 20 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 21 საკითხი. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 11 სხდომაში და განიხილა 11 საკითხი.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ;
- ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ;
- ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგებასის შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;
- ქ. თბილისის საკრებულოში თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად ფრაქციის "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ განსახორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვის შესახებ;

კომისიური მუშაობა

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაიმართა 13 სხდომა და განხილულ იქნა 16 საკითხი. კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;
- ეკონომიკური განვითარების და საქალაქო საგრანტო პროგრამებზე, ბიზნეს-გეგმების ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ;
- ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების საპილოტე პროექტის დაწყების და ამ პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმების შესახებ;
- ქ. თბილისის ღამის ეკონომიკის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ;
- პროფესიული განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე და განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესახებ;
- დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიისა და თბილისის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო სქემის, ინფრასტრუქტურასა და შესაბამისი სერვისების განვითარების შესახებ;
- თბილისის მუზეუმების ტურისტული პოტენციალის განვითარების შესახებ, თბილისი 2019 წელს მსოფლიოს ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი გახდა. მერიის მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტების შედეგად, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დედაქალაქისთვის დამატებით 100 მილიონი ლარი გამოიყოფა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაიმართა 28 სხდომა და განხილულ იქნა 264 საკითხი. ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო 23 სხდომაში და განიხილა 221 საკითხი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბატონმა ალექსანდრემ კომისია დატოვა 2019 წლის 15 აგვისტოს.

კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ,,დანგრეული სახლების მცხოვრებელთა კომპენსაციის'' ქვეპროგრამის წესის დამტკიცების შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმება დადებითად შეფასდა. თბილისის მერია მყარი ნარჩენების მართვის პროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით განახორციელებს. ხელშეკრულებას ფინანსთა სამინისტროსა და

EBRD-ს შორის, რომლის ფარგლებში 15 მილიონი ევრო სწორედ მყარი ნარჩენების პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესხებ. აღნიშნული გეგმა ქალაქის ტერიტორიების განვითარებითი მიმართულებების დადგენისას ეყრდნობა და გამოყოფს შემდეგ ძირითად კონცეპტუალურ მოსაზრებებს: კომპაქტური ქალაქი; მწვანე ქალაქი; კარგად შეკავშირებული ქალაქი.
- დეპუტატებმა სხდომაზე მხარი დაუჭირეს გადაწვეტილებას, რომლის თანახმად, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა კონტინგენტს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ მგზავრობის უფლება მიეცემა. ამასთანავე, უფასოდ მგზავრობის უფლება უსინათლოთა გამცილებლით მომსახურების პროექტის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დასაქმებული 3 გამცილებელსაც მიეცემა;
- კომისიის წევრებმა მოქალაქეებისთვის ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა-დაკანონების და დედაქალაქში მდებარე სხვა და სხვა მისამართებზე მდებარე მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ იმსჯელეს;
- „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების საპილოტე პროექტის დაწყების შესახებ;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ გაიმართა 2 სხდომა და განხილულ იქნა 69 საკითხი. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ბატონი ალექსანდრე ხუჯაძე კომისიის წევრად იქნა დანიშნული 16 აგვისტოს, შესაბამისად დაეწრო ორივე სხოდმაზე და განიხილა აღნიშნული ყველა საკითხი.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისის წევრი

საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, ბატონი ალექსანდრე კომისიის წევრია 2019 წლის 13 მაისიდან, კომისიის ფარგლებში გაიმართა 33 სხდომა და მაჟორიტარმა მონაწილეობა მიიღო 26 სხდომაში.

ქ.თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის,საქმიანობის ანგარიში სამაჟორიტარო რაიონში

ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის, წარმომადგენლობა ფუნქციონირებს 2018 წლის 20 თებერვლიდან. 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით წარმომადგენლობაში გაიმართა 46 ოფიციალური შეხვედრა, სადაც მაჟორიტარმა შეხვედრა გამართა 672 მოქალაქესთან, ამასთანავე მოქალაქეთა მომართვიანობა არის საკმაოდ მაღალი, განვლილი პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში კონსულატია გაეწია 1500-ზე მეტ პიროვნებას, შესაბამისად, მაჟორიტართან შეხვედრებისა და წარმომადგენლობაში მომართვიანობის ფარგლებში 284 შუამდგომლობა იქნა გაგზავნილი სხვადასხვა უწყებაში და სიტყვიერი შუამდგომლობა გაუწია ბატონმა ალექსანდრემ 200-ზე მეტ პიროვნებას. სოციალური საკითხის მიმართულებით მოქალაქეთა ძირითადი მომართვიანობა დაკავშირებულია მედიკამენტების, ოპერაციებისა და სხვადასხვა თერაპიული პრობლემის მოგვარებასთან, შესაბამისად, გაწეული შუამდგომლობების 90% იქნა დაფინანსებული სხვადასხვა უწყების მიერ. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ მაჟორიტარმა და საკრებულოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა 50-ზე მეტი შეხვედრა გამართეს ნაძალადევის N20-ე ოლქში სხვადასხავა ლოკაციაზე, სადაც 1200-ზე მეტ მოქალაქესთან გაიმართა შეხვედრა, შესაბამისად, განხილულ იქნა მოქალქეების მიერ მოწოდებული პრობლემები.

ინფრასტრუქტურული საკითხები

დეპუტატ ალექსანდრე ხუჯაძის რეკომენდაციით, 2018-2019 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში ასახული იქნა ყველა ის პრობლემური მისამართი, სადაც წლების განმავლობაში ვერმოხერხდა გზის საფარის, დამჭერი კედლების რებილიტაცია და სხვა ინფრასრტუქტურული პროექტების შესრულება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა შემდეგ მისამართებზე :

- შენგელაიას ქუჩაზე, 4 500-მდე კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 230 00 ლარი;

- დ.გურამიშვილის გამზ. #48-ის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და 700-მდე კვ.მ ფართოებზე მოეწყო ასფალტის საფარი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 30 137 ლარი;

- გუდამაყრის ქუჩა #4-ს საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და 3 775-მდე კვ.მ ფართოებზე მოეწყო ასფალტის საფარი, პროექტის ღებულებამ შეადგინა 149 503,37 ლარი;

- გვაზაურის ხევის ქუჩის ბოლო ნაწილზე აშენდა გზის დამჭერი სამი საყრდენი კედელი მოეწყო ბეტონის საფარი, ობიექტის საერთო ფართობი 2200 კვ.მ-ია, ხოლო ასფალტის საფარი დაიგო 800 კვ.მ-ზე პროექტის ღირებულებამ შეადგინა 174 793,02 ლარი;

- გურამიშვილის გამზირი N39ა-ს მიმდებარედ და კაკაბაძის N4ა-თან არსებულ ჩიხში მოეწყო ბორდიულები, ტროტუარი და 1 613 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, პროექტის ღირებულებამ შეასდგინა 108 00 ლარი;

- ხორნაბუჯის ქუჩაზე მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და 1 480 კვ.მ გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 112 814,15 ლარი;

- გვაზაურის II გასავალში მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა კაპიდალურად, მოეწყო ბორდიური და 1 674 კვ.მ ფართობზე ორფენიანი ასფალტის საფარი დაიგო, პროექტის ღირბულებამ შეადგინა 89 850 ლარი;

- გუდამაყრის ქუჩა #2-ის მიმდებარედ მოეწყო მიწისქვეშა ჭბი და ქვიშა-ხრეშოვანი საფუძვლები, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 8460,31 ლარი;
- გურამიშვილის გამზირი N74ა-ს მიმდებარედ 3200 კვ.მ - ზე მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და გზის სავალ ნაწილზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 170 556 ლარი;

- თბილისის ზღვაზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მისასვლელი გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, დაიგო ასფალტის საფარი, პროექტის ღირებულობამ შეადგინა 57 287 ლარი;

- ვადრისუბნის ქუჩა N6- ის მიმდებარედ მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და 2 300 კვ.მ გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 118 904 ლარი;

- ერწოს ქუჩა N10- ის მიმდებარედ 1000 კვ.მ - ზე დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 44 773 ლარი;

- ველისციხი ქუჩაზე გრუნტის დამჭერი ორი კედელი აშენდა, მოეწყო სანიაღვრე არხი, კიუვეტი, ბორდიური და გზის სავალ ნაწილზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო, ამასთანავე მოეწყო 54 მეტრიანი საყრდენი კედელი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 280 730 ლარი;

- რატევანის ქუჩის ბოლო ნაწილში, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ასევე მოეწყო საყრდენი კედელბი, პროექტის ღირებულემა შეადგინა 154 435 ლარი;

აღნიშნული პროექტებზე ჯამური თანხა შეადგენს, 1 632 772.85 ლარი;

მოქალაქეთა მომართვიანობისა და საჭიროების აუცილებლობის გათვალისწინებით, **გზის დამჭერი კედლების** სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა შემდგე ლოკაციებზე:

- გურამიშვილის გამზირი #33-ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 9560,23 ლარი;
- გურამიშვილის გამზირი #45-ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 48 449,49 ლარი;

კიბეებისა და მოაჯირეების მოწყობა

- გურამიშვილის გამზირზე N3-5 – ის მიმდებარედ მოეწყო კიბე და მოაჯირი, არსებული პროექტის ღირებულებამ შეადგინა 13 215 ლარი;

მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემური საკითხები

- სანზონა N2 კორპ. მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი);
- არბოს ქ. N2 - ის მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი);
- გუდამაყრის ქ. N7 - ის მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი);
- სანზონა N24 კორპ. მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი);
- ჟველაურის ქ. N31 - ის მიმდებარედ (კანალიზაციის ქსელი);

სულ არსებულ ლოკაციებზე პრობლების აღმოსაფხვრელად გამოყოფილ იქნა 3000 ლარი.

სკვერები

- სანზონა N10 -ე კორპ მიმდებრედ არსებულ სკვერში მოეწყო ლითონის მოაჯირი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1 377 ლარი;
- გურამიშვილის გამზირი N17ა -ს მიმდებრედ არსებულ სკვერში მოეწყო ლითონის მოაჯირი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 855 ლარი;
- ქვიშხეთი ქუჩა N2;N3;N4 კორპუსების მიმდებარედ არსებულ სკვერს ჩაუტარდა რეაბილიტცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 17 835 ლარი;
- გურამიშვილის გამზირი N39ა -ს მიმდებრედ სრული რეაბილიტცია ჩაუტარდა არსებულ სკვერს, 3400 კვ.მ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 153 201 ლარი;

სტადიონები, საბავშვო ატრაქციონები და სავარჯიშო ტრენაჟორები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფიტნეს ტრენაჟორები მოეწყო სამ ლოკაციაზე, კერძოდ:

- სანზონა #18-ე კოპუსის მიმდებარედ;
- ხორნაბუჯის ქუჩის #47-ის მიმდებარედ;
- ქსნის ქუჩა #12-ის მიმდებრედ;

საბავშვო ატრაქციონი

საბავშვო ატრაქციონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ქსნის ქუჩა #12-ის მიმდებრედ;
- ჩარგლის ქუჩა #48-ის მიმდებარედ

- სანზონა #19-20-ე კორპ. მიმდებარედ;
- იფნევის ქუჩა #10-11 -ის მიმდებარედ;

სტადიონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- სანზონა #12-15 კორპუსების მიმდებარედ (სრული რეაბილიტაცია);
- გურამიშვილის გამზ. #33ბ-ს მიმდებარედ (სრული რეაბილიტაცია);

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

საანგრიშო პერიოდის განმავლობაში ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, სამაჟორიტარო ოლქში, რაიონის გამგეობასთან კოორდინირებული მუშაობით თანადაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ერწოს ქ. #4, კორპ.#39 (სად 1,2,3) , ლიფტი, 47 928,47 ლარი (ამხ წილი 5248.98 ლარი);
- სანზონა, კორპ. 3ა, ლიფტი, პროექტის ღირებულება 37 820,83 ლარი (ამხ. წილი: 2609.63 ლარი);
- ქსნის ქ. N22, ლიფტის კაპიტალური მოწესრიგება, პროექტის ღირეულება 16 307,99 ლარი (ამხ. წილი 9267.61);
- ერწოს ქ. N4, კორპ. 4, ლიფტის კაპიტალური მოწესრიგება, პროექტის ღირებულება 15 956,1 ლარი (ამხ. წილი 2672.12);
- ეწროს ქ.N4, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 36 939.07 ლარი;
- სანზონა, კორპ. 16ა, ბრტყელი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 10 678.53 ლარი (ამხ.წილი 682.15)
- მუხრანის ქ. N3, ქანობრივი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 10 619.12;
- მუხრანის ქ. N3, წყალსაწრეტი მილების მოწყობა, პროექტის ღირებულება 2253.76 ლარი (ამხ. წილი 654.52);
- სანზონა, კორპ. 9ა, წყალსაწრეტი მილების მოწყობა, პროექტის ღირებულება 2797,93 ლარი (ამხ.წილი 2871.83);
- ჩარგლის ქ. N25, წყალსაწრეტი მილების მოწყობა, პროექტის ღირებულება 3020.23
- ქვიშხეთის ქ. კორპ. N3, სენსორული განათების მონტაჟი, პროექიტის ღირებულება 1388, 66 ლარი;

- გურამიშვილის გამზ. N12 , წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 67 077.27 ლარი;
- ერწოს ქ. კორპ. #6 , წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 2 251.86 ლარი;
- გურამიშვილის. გამზ. N1, წყალსაწრეტი მილების მოწყობა, პროექტის ღირებულება 941,22 ლარი;
- მუხრანის ქ. N3, სენსორული განათების მონტაჟი, პროექტის ღირებულება 581.69 ლარი;
- ჩარგლის ქ. 48, ქანობრივი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 10 108.18 ლარი;
- ჭოპორტის ქ. #2, ლიფტი (პირველი სადარბაზო) , პროექტის ღირებულება 32 282.82 ლარი;
- გურამიშვილის გამ. #41ა (1,2 სადარბაზო) , ლიფტი (მესამე სადარბაზო) , პროექტის ღირებულება 32 463.59 ლარი;
- თბ. ზღვა, კადეტთა კოპრ. #6, შენობის გამაგრების პროექტი, 3740 ლარი;
- გურამიშვილის გამ. #10 ა , ლიფტი (მესამე სადარბაზო) , პროექტის ღირებულება 63 233.47 ლარი;
- გურამიშვილის 15ბ, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 6911,12 ლარი;
- გურამიშვილის გამზ. N30, კორპ.#1, ლიფტის მოწყობა, პროექტის ღირებულება 11 830.08;
- გურამიშვილის გამზ. #30, კორპ.#2, ლიფტის მოწყობა, პროექტის ღირებულება 12 383.97;
- ქვიშხეთის ქ. კორპ. N3, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 13249.91 ლარი;
- ერწოს ქ. #11, შენობის კაპიტალური გამაგრება, პროექტის ღირებულება 46 667.21 ლარი;
- ერწოს ქ. #4, კორპ. 3, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 13 996.26 ლარი;
- სანზონა, კორპ. 21ბ, ლიფტის მოწყობა (პირველი სადარბაზო), პროექტის ღირებულება 10 804.87;
- გურამიშვილის გამზ. 19ა, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 5447,09 ლარი;
- გურამიშვილის გამზ. 70, კორპ, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 4864.80;

- გურამიშვილის გამზ. 30 კორპ. 1, ბრტყელი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 13 862.07 ლარი;
- სანზონა, კორპ. 4 ვ , ლიფტის მოწყობა (მეორე სადარბაზო), პროექტის ღირებულება 15 118.21;
- ჩარგლის ქ. #26, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 721.79;
- ჩარგლის ქ. #25, წყალსაწრეტი მილების მოწყობა, პროექტის ღირებულება 1104.26 ლარი;
- სანზონა, კორპ. 1ა, ბრტყელი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 11 267.60 ლარი;
- სანზონა, კორპ. N18 ბ, სენსორული განათების მონტაჟი, პროექტის ღირებულება 1217.55 ლარი;
- არბოს ქ. #20ა, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 30 383.04;
- სანზონა, კორპ. 18 ვ, ლიფტის მოწყობა (პირველი სადარბაზო), პროექტის ღირებულება 15 163.33;
- არბოს ქ. #2, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 3661.43;
- გურამიშვილის გამზ. #70, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 9621.19;
- გურამიშვილის გამზ. #72 ბ, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 10 030.38;
- ერწოს ქ.#6, ქანობრივი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 8524.02;
- სანზონა, კორპ #13, წყალ-კანალიზაციის მოწყობა, პროექტის ღირებულება 4512.50;
- ჩარგლის ქ. #25, ლიფტის მოწყობა (მესამე სადარბაზო), პროექტის ღირებულება 14 368.89;
- სანზონა კორპ. #8, ლიფტის მოწყობა (პირველი სადარბაზო), პროექტის ღირებულება 14 517.46;

საერთო ღერებულება აღნიშნული პროექტების შეადგენს 755,619.82 ლარს.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული საკითხები

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ალექსანდრე ხუჯაძემ და მაჟორიტარის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა, მერიის სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შეისწავლეს ნაძალადევის რაიონის,

კერძოდ, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე არსებული ავტობუსების გაჩერებები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და საგზაო ნიშნები. შედეგად, რვა ლოკაციაზე ახალი შუქნიშანი ამოქმედდა და ქვეითთა გადასასვლელები მოეწყო, კერძოდ: შუქნიშნები ამოქმედდა გურამიშვილის გამზირის N76-თან, ვარდისუბნის ქუჩის კვეთასთან და არალეთის ქუჩის კვეთასთან. გურამიშვილის გამზირისა და ანაპის 414-ე დივიზიის, გუდამაყრის, ქსნის, ზიგზაგისა და ლიახვის ქუჩების გზაჯვარედინებზე ქვეითთა მოდულები დაემატა.

სხვა მიმართულების აქტივობები

- 2019 წლის 17 მარტს თბილისის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ალექსანდრე ხუჯაძის ინიციატივით, სამაჟორიტარო ოლქში არსებული საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევები გაიმართა. თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკში გამართულ აქციაში მონაწილეობდა ოთხი სხვადასხვა ბაღის 100–მდე პედაგოგმა.

- მიმდინარე წლის 9 მაისს ნაძალადევის რაიონში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და სასაჩუქრე ნობათები გადასცა;

- პირველ ივნისს (ბავშვთა საერთაშორისო დღეს) მაჟორიტარის ინიციატივით სოციალურად დაუცველი ბავშვები თბილისის ზღვაზე მდებარე საცურაო კომპლექს „ჯინო ფერედაისში“ იმყოფებოდნენ. 30-მა ბავშვმა ცურვასა და ატრაქციონებზე სრიალის გარდა სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;

- მიმდინარე წლის 11 ივნის დეპუტატმა სანზონის მაცხოვრებლებს, ალექსანდრე ხუჯაძე, მარტოხელა, მძიმე დაავადებების მქონე, ეკონომიური სიდუხჭირის ქვეშ მყოფ, ასევე მრავალშვილიან ოჯახებში იმყოფებოდა და მათ ნობათები გადასცა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრი ალექსანდრე ხუჯაძე და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მოქალაქეებთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრა და

ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების მოგვარება მაჟორიტარის უმთავრესი ამოცანა იქნება.

პატივისცემით,

ალექსანდრე ხუჯაძე